

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თინა მელქოშვილი

ელექტრონული მთავრობა როგორც სახელმწიფო
ტრანსფორმაციის ინსტრუმენტი: რეგიონული
გამოწვევები და პერსპექტივები

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება, შიფრი 02

თბილისი 2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების
დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი _____ / ვ.დათაშვილი /

რეცენზენტები: _____

დაცვა შედგება 2016 წლის „16“ ივლისს „___“ საათზე საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის
სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი VI, აუდიტორია

მისამართი 0175, თბილისი, კოსტავას 77

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ავტორეფერატისა საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი

პროფესორი: _____ /სალომე ხიზანიშვილი/

ABSTRACT

Disertation working “E-government as a State transformation tool: Regional Challenges and Prospects” is dedicated to the most actual theme of modernity - E-government establishment in Georgia and its implementation in a different field of public life. the disertation working consists of introduction, literature review, three chapters and a conclusion.

In the introduction there is discussed the role of information-communication technologies in conditions of effective governance.

In the part of literature review is viewed the main papers (both Georgian and foreign languages) contents on the topic of e-government, their advantages and disadvantages, achievements and shortcomings, of which rate-perfection is our and the next generation of scientists responsibility.

The basic idea of research exists in that the high effectiveness of e-government projects realization is caused of sustainable development of projects in according to all functions of E-government, among them are electronic Administration (E-administration), electronic services (E-services), electronic governance (E-governance) and electronic democracy (E-democracy).

By the author in different countries was done analysis of institutional and information support of project realization of e-government. Also, there is presented the basic problems of implementation e- government concept in Georgia regions.

In the second chapter of disertation is viewed as foreign, as well as the Georgian methodology’ possibilities in regions of Georgia for the Electronic Government’s development evaluation.

The result of analysis has been formed the system of Interrelated indicators of e-government’s development’s evaluation, which reflects the systemic-functional approach and allows to calculation Index of E-Government’s development.

By the author is developed such methodology of e-government development evaluation, which is based on systemic-functional approach. On the base of e-government’s development’s resulting index are processed rankings of regions and build their ratings accordingly to their e-government development levels.

Here is presented the approbation of the proposed methodology on the example of the Georgian regional administrative units and regions and major cities based on the statistical data analysis of 2014 year.

In the third chapter of the thesis the author by her developed methodology, also on the analysis base of e-government development’s factors and trends, offers for e government such system of development - managerial measures, that can give recommendations, depending on the development level of each function of e-government.

The author offers us development decision-making general schemes of e-government’s regional projects. Regional e-government development complex

measures include the improving measures for each function of the electronic government, which are grouped in five stages of e-government projects development. The positioning of region by stages is possible on basis of realization index of appropriate function of the electronic government.

In addition, the author has developed the complex software for regional projects monitoring and evaluation e-government's effectiveness. It is a systemic-functional approach and based on the e-government's development's evaluation methodology, it calculates the realization indices of e-government's functions and e-government's resulting development index. also, for each regions it defines corrective measures caused from e-government's functions realization's indexes' meanings.

Developed software complex gives also possibility for evaluate government's realization effectiveness. to use of such information- analytical support's of Regions e-government's development will make the State bodies more transparent and accountable and will Increase the State responsibility in front of citizens.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ საქართველოში, ისევე როგორც ყველა სხვა დანარჩენ ქვეყნებში, გამოიწვია თვისობრივად ახალი - ეფექტიანი, მოქნილი, გამჭვირვალე და საზოგადოებაზე ორიენტირებული მთავრობის - ელექტრონული მთავრობის შექმნის აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის ზრდას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების გზით, ასევე მოქალაქის როლის გაძლიერებას სახელმწიფოს მართვის პროცესში.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო მართვის ხარისხიან და ეფექტიან სისტემას და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ განვითარებას, არის სახელმწიფო მართვის გამჭვირვალობა და უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ხალხის მომსახურება.

ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობა არ არის მხოლოდ საქართველოში არსებული პრობლემა, ის მსოფლიო პრობლემაა. ვინაიდან ეფექტიანი სახელმწიფო მართვა წარმოუდგენელია ელექტრონული მმართველობის გარეშე, საქართველოში ახალი სისტემების დანერგვას, კერძოდ, ელექტრონული მმართველობის დამკვიდრებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

თემის აქტუალობა: საქართველოში ელექტრონული მთავრობის შექმნაზე მუშაობის დაწყება განაპირობა მსოფლიოში ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი ტემპებით განვითარებამ და მისმა დანერგვამ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ელექტრონული მთავრობის კონცეფციის შემუშავებაა, რომლის რეალიზაციის მთავარ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო ორგანოების გადასვლა ელექტრონული სახის მომსახურებაზე.

საქართველოს რეგიონებში მიზანშეწონილად ვთვლით დაიწყოს ზემოთაღნიშნული მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარება, ამ დარგში ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის ჩატარდეს სისტემატური კვლევები ელექტრონული მთავრობის განვითარების ღონის გამოსაკვლევად. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ როგორც წარმატების ძირითადი ფაქტორები, ასევე ამ მიმართულებით განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორები. დღეისათვის საქართველოში არსებობს ელექტრონული მთავრობის განვითარების ღონის განსაზღვრის მკვეთრი წესები.

ამრიგად, სადისერტაციო ნაშრომის თემა, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს რეგიონებში ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის ინფორმაციულ უზრუნველყოფას, ასევე ელექტრონული მთავრობის შედეგიანობის შეფასების ერთიანი მეთოდების შემუშავებას და კომპლექსური მონიტორინგის ჩატარებას არის მნიშვნელოვანი და აქტუალური.

კვლევის საგანი და ობიექტები: კვლევის საგანია საქართველოში ელექტრონული მმართველობის დანერგვა, კვლევის ობიექტებს კი წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულები და რეგიონების მსხვილი ქალაქები.

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევის მიზანია საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულებისა და რეგიონების მსხვილი ქალაქებისათვის ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასების მეთოდის შემუშავება, აგრეთვე ელექტრონული მთავრობის რეგიონული პროექტების განმავითარებელ მმართველურ ღონისძიებათა სისტემის შემუშავება და გადაწყვეტილებათა მიღების ზოგადი სქემის შექმნა.

თემის მეცნიერული სიახლე: სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე შემდეგში მდგომარეობს:

- შემოთავაზებულია ელექტრონული მთავრობის პროექტების

რეალიზაციის ორგანიზაციული ტექნოლოგიები, რომელიც მოიცავს საორგანიზაციო ინოვაციებს სისტემურ-ფუნქციონალური მიდგომის საფუძველზე, ყოველივე ეს კი მოგვცემს ელექტრონული მთავრობის ფუნქციის ეფექტურობის გამოთვლის საშუალებას.

➤ დამატებულია ელექტრონული მთავრობის რეალიზაციის ინფორმაციული უზრუნველყოფის მექანიზმის სტრუქტურა, ელექტრონული მთავრობის მდგომარეობის კომპლექსური შეფასება და მმართველობითი ღონისძიებების შემუშავება ელექტრონული მთავრობის რეგიონალური პროექტების განვითარების თვალსაზრისით ელექტრონული მთავრობის ფუნქციის რეალიზაციის ინდექსების ანალიტიკური შეფასების საფუძველზე.

➤ შემუშავებულია ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასების მეთოდიკა საქართველოს რეგიონებში სისტემურ-ფუნქციონალური მიდგომის საფუძველზე, რომელიც შეიცავს ელექტრონული მთავრობის ფუნქციების (ადმინისტრაციულ ელექტრონული ფუნქციის, ელექტრონული მომსახურების ფუნქციის, ელექტრონული მართვის ფუნქციის, ელექტრონული დემოკრატიის ფუნქციის) რეალიზაციის ანალიტიკურ მიმოხილვას.

➤ შემოთავაზებულია მმართველობითი ღონისძიებების სისტემა ელექტრონული მთავრობის რეგიონალური პროექტების განვითარებისათვის, რომელიც მოიცავს კომპლექსურ ღონისძიებებს ელექტრონული მთავრობის ფუნქციების სრულყოფისათვის (როგორცაა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის უსაფრთხო სისტემის ჩამოყალიბება; მექანიზმების ჩამოყალიბება და რეალიზაცია, რომლებიც იძლევა მობილური მოწყობილობებიდან ელექტრონული მთავრობის სერვისებზე წვდომის საშუალებას; ქვეყნის სამთავრობო ორგანოების ოფიციალურ საიტებზე ელექტრონული ინფორმაციის მიწოდების ინსტრუმენტების შემუშავება-სრულყოფა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მივცეთ რეკომენდაციები ელექტრონული

მთავრობის თითოეული ფუნქციის რეალიზაციის დონის შესაბამისად.

➤ შემუშავებულია ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის საინფორმაციო ანალიტიკური უზრუნველყოფა, რომელიც განსხვავებულია თავისი წინამორბედებისგან ორი შემადგენელი ნაწილით: ინფორმაციული, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას, ასევე შენახვასა და გაცემას, რაც აუცილებელია გადაწყვეტილებების მისაღებად. ეს საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ მმართველობითი ღონისძიებების ამოცანები, რომლების უკავშირდებიან ელექტრონული მთავრობის რეგიონალურ განვითარებასა და მათი რეალიზაციის ეფექტურობის შეფასებას ანუ ანალიტიკურ ექსპერტიზას.

კვლევის შედეგები: კვლევის შედეგები მდგომარეობს თეორიული დასკვნების გამოყენების საშუალებებში და რეგიონალური ორგანოების პრაქტიკულ რეკომენდაციებში, ელექტრონული მთავრობის პროექტების ინფორმაციული უზრუნველყოფის სრულყოფის პროცესში, ელექტრონული მთავრობის მართვის ფუნქციონირების ეფექტური ამაღლების მეთოდებში და ინსტრუმენტებში, კომპლექსური მონიტორინგის ჩატარებაში და ელექტრონული სახის სახელმწიფო მომსახურების შეფასებაში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში, ელექტრონული მთავრობის რეგიონალური პროექტების განვითარების პროგრამების შემუშავებაში, ასევე შემუშავებული ინსტრუმენტების გამოყენებაში ელექტრონული მთავრობის დონის შეფასებისათვის, ელექტრონული მთავრობის თითოეული ფუნქციის შეფასების გზით და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კორექტირებული ღონისძიებების ჩასატარებლად.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგები და რეკომენდაციები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს რეგიონებში ელექტრონული მმართველობის რეალიზაციის ეფექტიანობას. იგი ამავე დროს დაეხმარება

ამ სფეროს მეცნიერებს გააღრმავონ და გააფართოვონ კვლევა ამ მიმართულებით.

აპრობაცია: სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეცენზირებად და რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში:

1. გენადი იაშვილი, ვახტანგ დათაშვილი, თინა მელქოშვილი - ელექტრონული მთავრობის ფორმირებისა და რეალიზაციის ორგანიზაციული ასპექტები, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", N5, სტუ, 2014 წ.
2. ვახტანგ დათაშვილი, თინა მელქოშვილი - ელექტრონული მთავრობის რეალიზაციის ინფორმაციული უზრუნველყოფა სამეურნეო პროცესების ინფორმატიზაციის პირობებში, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", N1, სტუ, 2015 წ.
3. ვახტანგ დათაშვილი, თ.მელქოშვილი, მარიამ დათაშვილი - ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილება, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", N2, სტუ, 2015 წ.
4. ვახტანგ დათაშვილი, თ.მელქოშვილი, ნატო ჩიკვილაძე - ელექტრონული მთავრობის პროექტების საინფორმაციო ანალიტიკური შეფასების მეთოდოლოგია, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", N3, სტუ, 2015 წ.
5. ვახტანგ დათაშვილი, თ.მელქოშვილი, ლაშა-გიორგი დათაშვილი - საქართველოს რეგიონების ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის უზრუნველყოფა, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", N4, სტუ, 2015 წ.
6. ვახტანგ დათაშვილი, თ.მელქოშვილი, ლაშა-გიორგი დათაშვილი - ელექტრონული მთავრობის განვითარების თავისებურებანი საქართველოს რეგიონებში, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", N6, სტუ, 2015 წ.

7. თ.მელქოშვილი - ელექტრონული მთავრობის პროექტების შეფასების მეთოდოლოგიური ასპექტები, თსუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, შრომების კრებული N1, თბილისი 2015 წ.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 168 გვერდს. იგი შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. ნაშრომს თან ერთვის 7 ცხრილი და 16 ნახაზი. გამოყენებული ლიტერატურის სია წარმოდგენილია 150 დასახელებით.

ნაშრომის შინაარსი ასეთია:

შესავალი

ლიტერატურის მიმოხილვა

შედეგები და მათი განსჯა

თავი I. ელექტრონული მთავრობის რეალიზაციის ინფორმაციული უზრუნველყოფა სამეურნეო პროცესების ინფორმატიზაციის პირობებში

I.§1. ელექტრონული მთავრობის ფორმირებისა და რეალიზაციის ორგანიზაციული ასპექტები ინფორმაციული საზოგადოების დამკვიდრების პირობებში

I.§2. ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილება

I.§3. საქართველოს რეგიონების ელექტრონული მთავრობის პროექტების საინფორმაციო უზრუნველყოფის მექანიზმის სტრუქტურა

თავი II. ელექტრონული მთავრობის პროექტების საინფორმაციო-ანალიტიკური შეფასების მეთოდოლოგიური ასპექტები

II.§1. ელექტრონული მთავრობის შეფასების მეთოდების შედარებითი ანალიზი

II.§2. საქართველოს რეგიონებში ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასების მეთოდოლოგიური ასპექტები

II.§3. საქართველოს რეგიონების რეიტინგული შეფასება და

პოზიციონირება ელექტრონული მთავრობის განვითარების დონის მიხედვით

თავი III. საქართველოს რეგიონებისა და მსხვილი ქალაქების ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის საინფორმაციო უზრუნველყოფის შექმნა

III.§1. რეგიონული ელექტრონული მთავრობის განვითარების მმართველურ დონისძიებათა სისტემა

III.§2. რეგიონების ელექტრონული მთავრობის განვითარების საინფორმაციო- ანალიტიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესება დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

ნაშრომის მოკლე შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომი „ელექტრონული მთავრობა, როგორც სახელმწიფო ტრანსფორმაციის ინსტრუმენტი: რეგიონული გამოწვევები და პერსპექტივები“ ეძღვნება თანამედროვეობის მეტად აქტუალურ თემას - საქართველოში ელექტრონული მთავრობის შექმნას და მის დაწერგვას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავის და დასკვნისაგან.

შესავალში განხილულია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლი ევექტიანი სახელმწიფო მმართველობის პირობებში. ელექტრონული მთავრობის კონცეფციის რეალიზების ორგანიზაციულ ასპექტებად წარმოდგენილია ახალ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან ორგანიზაციული ინოვაციების შეხამება მუდმივად ცვალებადი გარემოს პირობებში მთავრობის ძირითადი ფუნქციების შესასრულებლად, ელექტრონული მთავრობის კონცეფციის რეალიზება მიზანშეწონილად არის მიჩნეული მრავალდონიანი სისტემურ-ფუნქციური მიდგომის საფუძველზე.

ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში დახასიათებულია ელექტრონული მთავრობის თემაზე შექმნილი ძირითადი ნაშრომების (როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე) შინაარსი, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მიღწევები და ნაკლოვანებები, რომელთა შეფასება-სრულყოფა ჩვენი და შემდეგი თაობის მეცნიერებს ევალებათ.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში - „ელექტრონული მთავრობის რეალიზაციის ინფორმაციული უზრუნველყოფა სამეურნეო პროცესების ინფორმატიზაციის პირობებში“ განიხილება შემდეგი საკითხები: ელექტრონული მთავრობის ფორმირებისა და რეალიზაციის ორგანიზაციული ასპექტები ინფორმაციული საზოგადოების დამკვიდრების პირობებში (§1); ელექტრონული მთავრობის პროექტების

რეალიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილება (§2); საქართველოს რეგიონების ელექტრონული მთავრობის პროექტების საინფორმაციო უზრუნველყოფის მექანიზმის სტრუქტურა (§3).

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი მეთოდოლოგიური ხასიათისაა. პირველი თავის საკითხების შესწავლით ნაშრომში გაკეთდა შემდეგი დასკვნები:

თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოება და ელექტრონული მთავრობა, როგორც მისი ელემენტი, საზოგადოებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების მდგომარეობის შეფასების ინსტრუმენტების მოწინავე ნაკრებს მოითხოვს.

რეგიონების ელექტრონული მთავრობის შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესებას ორი მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს. ჯერ ერთი, სისტემატურ გაზომვას რეგიონებში ელექტრონული მთავრობის განვითარების მიმართულებების გამოვლენა შეუძლია. ამ ინფორმაციის გამოყენებით პოლიტიკოსები შეძლებენ იმ სფეროების განსაზღვრას, რომლებშიც დამატებითი ძალისხმევაა საჭირო. მეორე, ეს გაზომვები შეიძლება გამოდგეს რეგიონებს შორის განსხვავებათა გამოსავლენად და მათ ერთმანეთისგან შეუძლიათ ისწავლონ.

ელექტრონული მთავრობის შეფასების პროცესი განუყოფლად უკავშირდება განხილულ სფეროში მმართველობის რეგიონულ პროცესებს. ეს პროცესები მოიცავს ინფორმაციის მიღებას, შენახვას, გარდაქმნასა და გადაცემას. მართვის ნებისმიერ პროცესში ყოველთვის ხდება ორი ობიექტის - მმართველისა და სამართავის ურთიერთქმედება, რომლებიც პირდაპირი და უკუკავშირის არხებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. პირდაპირი კავშირის არხი გადასცემს მმართველობით სიგნალებს, უკუკავშირისა კი - ინფორმაციას სამართავი ობიექტის მდგომარეობის შესახებ. ასეთ სისტემას მართვის ჩაკეტილ სისტემას უწოდებენ.

ჩაკეტილ სისტემაში მართვის მთავარი პრინციპია სამართავი ბრძანებების გაცემა უკუკავშირით მიღებული სიგნალების შესაბამისად. ასეთ სისტემაში მმართველი ობიექტი ცდილობს სამართავი ობიექტის იმ მდგომარეობიდან ნებისმიერი გადახრის კომპენსირებას, რომელიც მართვის მიზნებითაა გათვალისწინებული.

ამგვარად, აუცილებელია ხელისუფლების რეგიონულმა ორგანოებმა სისტემატურად ჩაატარონ რეგიონის ელექტრონული მთავრობის მდგომარეობის შეფასება (უკუკავშირის არხი) და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიმუშაონ მაკორექტირებელი ზომების სისტემა (პირდაპირი კავშირის არხი). „შეფასება - მაკორექტირებელი ზომები“-ს ყოველი იტერაციის შემდეგ უნდა ხდებოდეს რეგიონული ელექტრონული მთავრობის სისტემის გაუმჯობესება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ელექტრონული მთავრობის გაუმჯობესება მუდმივი იქნება, რადგანაც საინფორმაციო ტექნოლოგიები განუწყვეტლივ ვითარდება, საზოგადოებრივი სისტემები კი, მათ შორის- ელექტრონული მთავრობა, აუცილებლად უნდა იყოს ამ დარგში არსებული მიღწევების შესაბამისი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეგიონის ელექტრონული მთავრობის მართვის სისტემა მმართველობითი მონიტორინგის სისტემას წარმოადგენს.

მონიტორინგი ელემენტების, მოვლენების, პროცესებისა და ურთიერთქმედებათა მდგომარეობაზე სპეციალურად ორგანიზებული, მიზანმიმართული და სისტემატური დაკვირვებაა მათი შეფასების, კონტროლის ან პროგნოზის მიზნით. მონიტორინგის სისტემატურობა იმას ნიშნავს, რომ იგი მუდმივმოქმედი საინფორმაციო პროცესია. მმართველობითი მონიტორინგი უნდა გვესმოდეს როგორც მმართველობითი საქმიანობის ობიექტის და მასზე მოქმედი გარე ფაქტორების შესახებ მონაცემებზე დაკვირვებისა და მათი შეგროვების პროცესი, მიღებული შედეგების დამუშავება, მათი შენახვა, გამოყენება და

გავრცელება სამართავ ობიექტზე მართვის სუბიექტის ეფექტიანად ზემოქმედების მიზნით.

ელექტრონული მთავრობის მართვის სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია რეგიონების ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზების ინფორმაციული უზრუნველყოფის მექანიზმის სრულყოფა.

რეგიონების ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის საინფორმაციო უზრუნველყოფის მექანიზმის არსებულ სტრუქტურაში ჩართულია შემდეგი ბლოკები: ა) რეგიონის ელექტრონული მთავრობის მდგომარეობის კომპლექსურად შეფასება; ბ) ამ პროექტების განმავითარებელი მმართველობითი ზომების შემუშავება.

კვლევის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზების მაღალეფექტიანობას განაპირობებს პროექტების თანაბარზომიერი განვითარება ელექტრონული მთავრობის ყველა ფუნქციის მიხედვით, რომელთა შორისაა ელექტრონული ადმინისტრაცია (E-administration), ელექტრონული მომსახურება (E-services), ელექტრონული მმართველობა (E-governance) და ელექტრონული დემოკრატია (E-democracy).

ავტორის მიერ ჩატარებულია სხვადასხვა ქვეყანაში ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზების ინსტიტუციური და ინფორმაციული უზრუნველყოფის ანალიზი. ასევე, გამოვლენილია საქართველოს რეგიონებში ელექტრონული მთავრობის კონცეფციის დანერგვის ძირითადი პრობლემები.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში - „**ელექტრონული მთავრობის პროექტების საინფორმაციო-ანალიტიკური შეფასების მეთოდოლოგიური ასპექტები**“ განიხილება შემდეგი საკითხები: ელექტრონული მთავრობის შეფასების მეთოდების შედარებითი ანალიზი (§1); საქართველოს რეგიონებში ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასების მეთოდოლოგიური ასპექტები (§2); საქართველოს რეგიონების

რეიტინგული შეფასება და პოზიციონირება ელექტრონული მთავრობის განვითარების დონის მიხედვით (§3).

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში განხილულია როგორც უცხოური, ასევე ქართული მეთოდოლოგიის შესაძლებლობები საქართველოს რეგიონებში ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასებაში.

საქართველოს რეგიონების ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასებისათვის გამოსადეგი მეთოდოლოგიის დადგენის პირველ ნაბიჯად ჩატარებულია შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომების შედარებითი ანალიზი. ესაა, სახელდობრ, გაეროს ეკონომიკური და სოციალური განვითარების დეპარტამენტის მეთოდოლოგია, ბრაუნის უნივერსიტეტის (აშშ) მეთოდოლოგია, კომპანია Capgemini-ს (საფრანგეთი) მეთოდოლოგია, კომპანია Accenture-ს (ირლანდია) მეთოდოლოგია, სამხრეთ კორეის უნივერსიტეტისა (Sungkyunkwan University) და ნიუ-ჯერსის სახელმწიფო უნივერსიტეტის (Rutgers University) ერთობლივი მეთოდოლოგია და ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ინსტიტუტის მეთოდოლოგია.

ფორმირებულია საქართველოს რეგიონების ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასებისათვის კვლევის ჩატარების მეთოდოლოგიური და ტექნიკური ხერხების სისტემა. ანალიზის შედეგად შემუშავებულია ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასების ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც სისტემურ-ფუნქციურ მიდგომას ასახავს და რომელიც ელექტრონული მთავრობის განვითარების ინდექსის გამოთვლის საშუალებას იძლევა.

განალიზებულია ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასების შემუშავებული მეთოდოლოგიური ინსტრუმენტარიუმის ღირსებები და ნაკლოვანებები და გამოტანილია დასკვნა, რომ შემოთავაზებული მეთოდოლოგია იძლევა რეგიონის ელექტრონული მთავრობის განვითარების დონის განსაზღვრის, ელექტრონული მთავრობის განვითარების ცალკეულ სფეროებში ჩამორჩენის ზონების გამოვლენის და ამ ინფორმაციის

საფუძველზე მაკორექტირებელ ღონისძიებათა სისტემის შედგენის შესაძლებლობას. ეს მეთოდის გვევლინება, აგრეთვე, ელექტრონული მთავრობის რეგიონული პროექტების მონიტორინგისა და ეფექტიანობის შეფასების პროგრამული კომპლექსის საფუძველად.

ამრიგად, ავტორის მიერ შემუშავებულია ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასების ისეთი მეთოდის, რომელსაც სისტემურ-ფუნქციონალური მიდგომა უდევს საფუძველად. ელექტრონული მთავრობის განვითარების შედეგობრივი ინდექსის საფუძველზე მიმდინარეობს რეგიონების რანჟირება და იგება მათი რეიტინგები ელექტრონული მთავრობის განვითარების დონის მიხედვით.

წარმოდგენილია შემოთავაზებული მეთოდის აპრობაცია საქართველოს სამხარეო ადმინისტრაციული ერთეულებისა და რეგიონებისა და მსხვილი ქალაქების მაგალითზე 2014 წლის სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში - „საქართველოს რეგიონებისა და მსხვილი ქალაქების ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის საინფორმაციო უზრუნველყოფის შექმნა“ განიხილება შემდეგი საკითხები: რეგიონული ელექტრონული მთავრობის განვითარების მმართველურ ღონისძიებათა სისტემა (§1); რეგიონების ელექტრონული მთავრობის განვითარების საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესება (§2);

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში ავტორი მის მიერ რეგიონების ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასებისთვის შემუშავებული მეთოდის, აგრეთვე, ელექტრონული მთავრობის განვითარების ფაქტორებისა და ტენდენციების ანალიზის საფუძველზე გვთავაზობს ელექტრონული მთავრობის რეგიონული პროექტების განმავითარებელ მმართველურ ღონისძიებათა ისეთ სისტემას, რომელიც რეკომენდაციების მოცემის საშუალებას იძლევა ელექტრონული მთავრობის თითოეული ფუნქციის განვითარების დონეზე

დამოკიდებულებით. მმართველურ ღონისძიებათა შემოთავაზებული სისტემა შემუშავებულია სახელმწიფო პროგრამა „ინფორმაციული საზოგადოება (2011-2020 წწ.)“-ის ფარგლებში.

ავტორი გვთავაზობს აგრეთვე ელექტრონული მთავრობის რეგიონული პროექტების განმავითარებელ გადაწყვეტილებათა მიღების ზოგად სქემას. რეგიონული ელექტრონული მთავრობის განვითარების ზომების კომპლექსი მოიცავს ელექტრონული მთავრობის თითოეული ფუნქციის გაუმჯობესების ღონისძიებებს, რომლებიც ელექტრონული მთავრობის პროექტების განვითარების ხუთ სტადიადაა დაჯგუფებული. სტადიების მიხედვით რეგიონის პოზიციონირება ელექტრონული მთავრობის შესაბამისი ფუნქციის რეალიზაციის ინდექსის საფუძველზეა შესაძლებელი.

ავტორს შემოთავაზებული აქვს აგრეთვე რეგიონში ელექტრონული მთავრობის რეალიზაციის ეფექტიანობის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ ელექტრონული მთავრობის განვითარების ინდექსის რა ნაწილი მოდის რეგიონული პროექტის რეალიზაციაზე დახარჯული ფულადი სახსრების ერთეულზე.

ამასთან, ავტორს შემუშავებული აქვს ელექტრონული მთავრობის რეგიონული პროექტების მონიტორინგისა და ეფექტიანობის შეფასების პროგრამული კომპლექსი. იგი სისტემურ-ფუნქციური მიდგომისა და ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასების მეთოდის საფუძველზე ითვლის ელექტრონული მთავრობის ფუნქციების რეალიზაციის ინდექსებსა და ელექტრონული მთავრობის განვითარების შედეგობრივ ინდექსს, აგრეთვე, თითოეული რეგიონისათვის განსაზღვრავს მაკორექტირებელ ზომებს ელექტრონული მთავრობის ფუნქციათა რეალიზების ინდექსების მნიშვნელობებიდან გამომდინარე.

შემუშავებული პროგრამული კომპლექსი იძლევა რეგიონებში ელექტრონული მთავრობის რეალიზების ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობასაც. რეგიონების ელექტრონული მთავრობის

განვითარების ამგვარი საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის გამოყენება უფრო გამჭვირვალესა და ანგარიშ-ვალდებულს გახდის სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას, აამაღლებს მოქალაქეთა წინაშე მათ პასუხისმგებლობას.

დასკვნა

გამოკვლევა, რომელიც ჩვენ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში ჩავატარეთ, საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი შემაჯამებელი დასკვნები და დავსახოთ მდგომარეობის გასაუმჯობესებელი წინადადებები:

1. თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოება და ელექტრონული მთავრობა, როგორც მისი ელემენტი, საზოგადოებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების მდგომარეობის შეფასების ინსტრუმენტების მოწინავე ნაკრებს მოითხოვს.
2. ელექტრონული მთავრობის შეფასების პროცესი განუყოფლად უკავშირდება განხილულ სფეროში მმართველობის რეგიონულ პროცესებს. აუცილებელია ხელისუფლების რეგიონულმა ორგანოებმა სისტემატურად ჩაატარონ რეგიონის ელექტრონული მთავრობის მდგომარეობის შეფასება და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიმუშაონ მაკორექტირებელი ზომების სისტემა. რადგანაც საინფორმაციო ტექნოლოგიები განუწყვეტლივ ვითარდება, საზოგადოებრივი სისტემები, მათ შორის- ელექტრონული მთავრობა, აუცილებლად უნდა იყოს ამ დარგში არსებული მიღწევების შესაბამისი.
3. ელექტრონული მთავრობის მართვის სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია რეგიონების ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზების ინფორმაციული უზრუნველყოფის მექანიზმის სრულყოფა. რეგიონების ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის საინფორმაციო უზრუნველყოფის მექანიზმის არსებულ სტრუქტურაში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული შემდეგი ბლოკები: ა) რეგიონის ელექტრონული მთავრობის მდგომარეობის კომპლექსურად შეფასება; ბ) ამ პროექტების განმავითარებელი მმართველობითი ზომების შემუშავება.

4. ფორმირებულია საქართველოს რეგიონების ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასებისათვის კვლევის ჩატარების მეთოდოლოგიური და ტექნიკური ხერხების სისტემა.
5. ანალიზის შედეგად შემუშავებულია ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასების ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც სისტემურ-ფუნქციურ მიდგომას ასახავს და რომელიც ელექტრონული მთავრობის განვითარების ინდექსის გამოთვლის საშუალებას იძლევა.
6. გაანალიზებულია ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასების შემუშავებული მეთოდოლოგიური ინსტრუმენტარიუმის ღირებულებები და ნაკლოვანებები და გამოტანილია დასკვნა, რომ შემოთავაზებული მეთოდოლოგია იძლევა რეგიონის ელექტრონული მთავრობის განვითარების დონის განსაზღვრის, ელექტრონული მთავრობის განვითარების ცალკეულ სფეროებში ჩამორჩენის ზონების გამოვლენის და ამ ინფორმაციის საფუძველზე მაკორექტირებელ ღონისძიებათა სისტემის შედგენის შესაძლებლობას.
7. ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასების შემოთავაზებული მეთოდოლოგია გვევლინება ელექტრონული მთავრობის რეგიონული პროექტების მონიტორინგისა და ეფექტიანობის შეფასების პროგრამული კომპლექსის საფუძველად.
8. ავტორის მიერ შემუშავებულია ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასების ისეთი მეთოდოლოგია, რომელსაც სისტემურ-ფუნქციონალური მიდგომა უდევს საფუძველად. ელექტრონული მთავრობის განვითარების შედეგობრივი ინდექსის საფუძველზე მიმდინარეობს რეგიონების რანჟირება და იგება მათი რეიტინგები ელექტრონული მთავრობის განვითარების დონის მიხედვით.
9. წარმოდგენილია შემოთავაზებული მეთოდოლოგიის აპრობაცია საქართველოს სამხარეო ადმინისტრაციული ერთეულებისა და

რეგიონებისა და მსხვილი ქალაქების მაგალითზე.

10. შემუშავებული მეთოდიკა ელექტრონული მთავრობის განვითარების ფაქტორებისა და ტენდენციების ანალიზის საფუძველზე გვთავაზობს ელექტრონული მთავრობის რეგიონული პროექტების განმავითარებელ მმართველურ ღონისძიებათა სისტემას
11. მმართველურ ღონისძიებათა სისტემა რეკომენდაციების მოცემის საშუალებას იძლევა ელექტრონული მთავრობის თითოეული ფუნქციის განვითარების დონეზე დამოკიდებულებით.
12. ავტორი გვთავაზობს აგრეთვე ელექტრონული მთავრობის რეგიონული პროექტების განმავითარებელ გადაწყვეტილებათა მიღების ზოგად სქემას.
13. რეგიონული ელექტრონული მთავრობის განვითარების ზომების კომპლექსი მოიცავს ელექტრონული მთავრობის თითოეული ფუნქციის გაუმჯობესების ღონისძიებებს, რომლებიც ელექტრონული მთავრობის პროექტების განვითარების ხუთ სტადიადაა დაჯგუფებული. სტადიების მიხედვით რეგიონის პოზიციონირება ელექტრონული მთავრობის შესაბამისი ფუნქციის რეალიზაციის ინდექსის საფუძველზეა შესაძლებელი.
14. ავტორს შემოთავაზებული აქვს აგრეთვე რეგიონში ელექტრონული მთავრობის რეალიზაციის ეფექტიანობის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ ელექტრონული მთავრობის განვითარების ინდექსის რა ნაწილი მოდის რეგიონული პროექტის რეალიზაციაზე დახარჯული ფულადი სახსრების ერთეულზე.
15. ავტორს შემუშავებული აქვს ელექტრონული მთავრობის რეგიონული პროექტების მონიტორინგისა და ეფექტიანობის შეფასების პროგრამული კომპლექსი. იგი სისტემურ-ფუნქციური მიდგომისა და ელექტრონული მთავრობის განვითარების შეფასების მეთოდიკის საფუძველზე ითვლის ელექტრონული მთავრობის ფუნქციების რეალიზაციის ინდექსებსა და ელექტრონული მთავრობის

განვითარების შედეგობრივ ინდექსს, აგრეთვე, თითოეული რეგიონისათვის განსაზღვრავს მაკორექტირებელ ზომებს ელექტრონული მთავრობის ფუნქციათა რეალიზების ინდექსების მნიშვნელობებიდან გამომდინარე.

16. შემუშავებული პროგრამული კომპლექსი იძლევა რეგიონებში ელექტრონული მთავრობის რეალიზების ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობასაც. რეგიონების ელექტრონული მთავრობის განვითარების ამგვარი საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის გამოყენება უფრო გამჭვირვალესა და ანგარიშ-ვალდებულს გახდის სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას, აამაღლებს მოქალაქეთა წინაშე მათ პასუხისმგებლობას.

სადისერტაციო თემაზე ავტორის მიერ გამოქვეყნებულია

შემდეგი ძირითადი შრომები:

1. გენადი იაშვილი, ვახტანგ დათაშვილი, თინა მელქოშვილი - ელექტრონული მთავრობის ფორმირებისა და რეალიზაციის ორგანიზაციული ასპექტები, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", N5, სტუ, 2014 წ.
2. ვახტანგ დათაშვილი, თინა მელქოშვილი - ელექტრონული მთავრობის რეალიზაციის ინფორმაციული უზრუნველყოფა სამეურნეო პროცესების ინფორმატიზაციის პირობებში, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", N1, სტუ, 2015 წ.
3. ვახტანგ დათაშვილი, თ.მელქოშვილი, მარიამ დათაშვილი - ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის საზღვარგარეთული გამოცდილება, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", N2, სტუ, 2015 წ.
4. ვახტანგ დათაშვილი, თ.მელქოშვილი, ნატო ჩიკვილაძე - ელექტრონული მთავრობის პროექტების საინფორმაციო ანალიტიკური შეფასების მეთოდოლოგია, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", N3, სტუ, 2015 წ.
5. ვახტანგ დათაშვილი, თ.მელქოშვილი, ლაშა-გიორგი დათაშვილი - საქართველოს რეგიონების ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის უზრუნველყოფა, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", N4, სტუ, 2015 წ.
6. ვახტანგ დათაშვილი, თ.მელქოშვილი, ლაშა-გიორგი დათაშვილი - ელექტრონული მთავრობის განვითარების თავისებურებანი საქართველოს რეგიონებში, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", N6, სტუ, 2015 წ.
7. თ.მელქოშვილი - ელექტრონული მთავრობის პროექტების შეფასების მეთოდოლოგიური ასპექტები, თსუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, შრომების კრებული N1, თბილისი 2015 წ.

ავტორის მიერ მომზადებულია და დაცულია სამი კოლოქვიუმი. კერძოდ:

1. კოლოქვიუმი #1 – „ელექტრონული მთავრობის რეალიზაციის ინფორმაციული უზრუნველყოფა სამეურნეო პროცესების ინფორმატიზაციის პირობებში“,
2. კოლოქვიუმი #2 – „ელექტრონული მთავრობის პროექტების საინფორმაციო-ანალიტიკური შეფასების მეთოდოლოგიური ასპექტები“,
3. კოლოქვიუმი #3 – „საქართველოს რეგიონებისა და მსხვილი ქალაქების ელექტრონული მთავრობის პროექტების რეალიზაციის საინფორმაციო უზრუნველყოფის შექმნა“.